

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N

2014 წელის ნოემბერი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ალექსანდრე როინაშვილის სახელობის საბიბლიოთეკო გაერთიანების და კულტურის - საგანმანათლებლო ცენტრის წესდებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ალექსანდრე როინაშვილის სახელობის საბიბლიოთეკო გაერთიანების და დუშეთის კულტურული-საგანმანათლებლო ცენტრის წესდებებით დამფუძნებლად დაფიქსირებულია და სადამფუძნებლო უფლებამოსილებები მინიჭებული აქვს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რაც წინააღმდეგობაშია ამჟამად მოქმედ კანონმდებლობასთან.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1 ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ, მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს კაპიტალში ცვლილების შესახებ, სამეწარმეო იურიდიული პირის წილის/აქციების შეძენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგებელი საკრებულოს თანხმობით.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ალექსანდრე როინაშვილის სახელობის საბიბლიოთეკო გაერთიანების და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის წესდებების კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ალექსანდრე როინაშვილის სახელობის საბიბლიოთეკო გაერთიანების (ს/კ 229325717) წესდებაში. კერძოდ:

ა) წესდების პირველის მუხლის 1.2 პუნქტი შიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით

„1.2 გაერთიანების დამფუძნებელია დუშეთის მუნიციპალიტეტი“

ბ) წესდების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.5 პუნქტი:

„1.5 წესდებით დამფუძნებლის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მათ შორის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილებას გამგებელი იღებს საკრებულოს თანხმობით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე ერთპიროვნულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;“

გ) წესდების მე-9-ე მუხლის 9.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„9.1 გაერთიანების საქმიანობას აკონტროლებს დამფუძნებელი“;

დ) ამოღებულ იქნეს წესდების მე-10-ე მუხლის 10.2 პუნქტი;

ე) წესდების მე-11-ე მუხლის 11.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„11.1 გაერთიანების წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება დამფუძნებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

2. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს შეიტანოს შესაბამისი ცვლილება ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“ (ს/კ229325094) წესდებაში:

ა) წესდების პირველი მუხლის 1.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1.2 ცენტრის დამფუძნებელია დუშეთის მუნიციპალიტეტი“;

ბ) წესდების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.4 პუნქტი:

„1.4 წესდებით დაფუძნებლის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მათ შორის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილებას გამგებელი იღებს საკრებულოს თანხმობით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე ერთპიროვნულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;“

გ) წესდების მე-5-ე მუხლის 5.3 პუნქტის 5.3.1 ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„5.3.1 ცენტრის გენერალურ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი;“

დ) ამოღებულ იქნეს წესდების მე-11-ე მუხლის 11.2 პუნქტი;

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე